შეხვედრის ოქმი

(UNDP & CIF & MoH)

თარიღი: 22.09.20.
პროექტის დასახელება: UNDP
პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია : საერთაშორისო ფონდი კურაციო

მონაწილეები:

1. თამარ გაბუნია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
2. ქეთი გოგინაშვილი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
3. სალომე ოდიშარია - გაეროს განვითარების პროგრამა
4. მაია გიორბელიძე - გაეროს განვითარების პროგრამა
5. თამარ გოცაძე - საერთაშორისო ფონდი კურაციო
6. ქეთი გოგუაძე - საერთაშორისო ფონდი კურაციო
7. ანო ახვლედიანი - საერთაშორისო ფონდი კურაციო

შეხვედრის დღის წესრიგი

- კლინიკური აუდიტის ჩატარება
- შემდეგი ნაბიჯები

- საქართველოში მიმდინარე ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით კლინიკური აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია ხარისხის შეფასებისათვის იცვლება კოვიდ19-ის მიმდინარე და დახურული შემთხვევების შეფასებით. ექსპერტები, რომლებიც შერჩეულნი და ჩართულნი იქნებიან აუდიტის პროცესში, ადგილზე ჩავლენ დაწესებულებებში (პილოტისათვის შეირჩა აჭარა) და ისე მოახდენენ შემთხვევების მიმოხილვასა და სამედიცინო პერსონალისთვის რეკომენდაციების მიცემას.. აღნიშნული პროცესისათვის, სამინისტრო მოამზადებს სამართლებრივ დოკუმენტს (ბრძანებას).
- აუდიტორების შერჩევა მოხდება საერთაშორისო ფონდ კურაციოს მიერ მომზადებული კრიტერიუმების საფუძველზე. ინტერესთა კონფლიქტს არ ექნება ადგილი, რადგან აჭარელი ექსპერტები არ იქნებიან პროცესში ჩართულენი. ჯგუფი დაკომპლექტდება საუნივერსიტეტო კლინიკის (ან სხვა დიდი კლინიკების) ექსპერტებისაგან. ექსპერტები შეისწავლიან როგორც მიმდინარე, ასევე დახურული შემთხვევებს. დახურული და მიმდინარე შემთხვევების განხილვა ექსპერტების მხრიდან, შესაძლებელია მინისტრის ბრძანების ფარგლებში, თუმცა სამართლებრივი ფორმის დაზუსტებისათვის აუცილებელია აღნიშნული საკითხი შეთანხმდეს სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტთან.
- წინასწარი მონახაზით აჭარის რეგიონისათვის ჩამოყალიბდება აუდიტორთა 2 ჯგუფი (თითოეულში 3 ექსპერტი : კრიტიკული მედიცინის ექსპერტი, ინფექციონისტი, ინტერნისტი), რათა სხვადასხვა კუთხით შეაფასონ კლინიკური მართვის პროცესი.
- პროექტის მეორე კომპონენტის დასრულების შედეგად შეიქმნება ორი პროდუქტი : აჭარის რაიონში შესწავლილი შემტხვევების აუდიტის შეჯამებული ანგარიში და კლინიკური აუდიტის ჩატარების სარეკომენდაციო სახელმძღვანელო.

- აღნიშნულ პროცესში საზღვარგარეთ მოღვაწე ექსპერტების ჩართვის საჭიროება ამ ეტაპზე არ დგას. პირველი აუდიტის შედეგების შემდეგ, პროექტის რესურსებისა და საჭიროების მიხედვით, ჩაერთვებიან პროცესში.
- კლინიკურ აუდიტორთა ჯგუფის წევრებს შეარჩევს და ინფორმაციის გაუთქმელობის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელს სამინისტრო მოაწერინებს, ხოლო ხელშეკრულებას გაუფორმებს საერთაშორისო ფონდი კურაციო,
- პირველ აუდიტისათვის შეიქმნება ექსპერტთა 2 გუნდი და დაკომპლექტდება 3-3 ექსპერტისაგან. ერთი ჯგუფი იმუშავებს ბათუმში, მეორე აჭარის სხვა დაწესებულებებში (იხ. დანართი). აუდიტის ხანგრძლივობა არის 4 დღე. სულ 30 შემთხვევა. დღეში თითოეული გუნდი გააკეთებს 4 პაციენტის ისტორიის აუდიტს.
- კომპონენტის საკონტაქტო პირი სამინისტროს მხრიდან იქნება ქეთი გოგინაშვილი.

Action points from this meeting:

#	Action	Due Date	Responsible	Status (C=completed; H= on hold; P=in progress; CL= cancelled)
1.	კლინიკური აუდიტისათვის ტექნიკური დავალების განახლება	24.09.20.	CIF	
2.	ექსპერტთა სია	23.09.20.	MoH	
3.	დახურული და მიმდინარე შემთხვევების სამართლებრივი ფორმის დადგენა	TBD	MoH	

მოამზადა : ანო ახვლედიანი
თარიღი : 22.09.20.

დანართი 1
<u>შერჩეული დაწესებულებების სია</u>

1. ბათუმის რესპუბლიკური-15 პაციენტი
2. შპს "მედალფა" ბათუმის კლინიკა -7 პაციენტი
3. ქობულეთის ცენტრალური საავადმყოფო- 5 პაციენტი
4. სს "ევექსის ჰოსპიტლები" - ქობულეთის ჰოსპიტალი-3 პაციენტი